

სასწავლო კურსის დასახელება	სპორტული მედიცინა
სწავლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური - ბაკალავრიატი
სასწავლო კურსის ტიპი	ძირითადი; სწავლების მე-7 სემესტრი
საგანმანათლებლო პროგრამის/ ფაკულტეტის სახელწოდება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი/ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი
შეფასების სისტემა	<p>სტუდენტის მიღწევა ფასდება 100 ქულიანი სკალით, შუალედური და საბოლოო შეფასებების ჯამით.</p> <p>შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:</p> <ul style="list-style-type: none"> • დასწრება – მაქსიმუმ 4 ქულა (10 დღე, თითოეული ფასდება 0,4 ქულით) • აკადემიური აქტივობა (ინტერაქტიული გამოკითხვა) – მაქსიმუმ 36 ქულა • 2 ჩათვლა/კოლოკვიუმი – მაქსიმუმ 20 ქულა (10 X 2) <p>ჩათვლა/კოლოკვიუმების ჩაბარების შემდეგ სტუდენტი დაიშვება დამამთავრებელ გამოცდაზე, რომელიც ტარდება ტესტ-კითხვარის სახით და მოიცავს სპორტული მედიცინის საკითხებს. სულ 40 ტესტ-კითხვა, თითოეული ფასდება 1 ქულით (სულ 40 ქულა).</p> <p>შეფასების სისტემით დაშვებულია:</p> <p>ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:</p> <ul style="list-style-type: none"> A. ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი B. ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90% C. კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80% D. დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70% E. საკმარისი – მაქსიმალური ქულის 51-60% <p>ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:</p> <p>FX. ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება; ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება</p>

	F. ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
--	--

ლექციების და პრაქტიკული მეცადინეობების თემატური გეგმა

დღე N	სალექციო კურსის შინაარსი	საათების რაოდენობა
1	სპორტული მედიცინის საგანი. განვითარების ისტორია, მიზანი და ამოცანები. ფიზიკური ვარჯიშით – სპორტით დაკავებულ პირთა სამედიცინო უზრუნველყოფა. სპორტსმენთა საექიმო კონტროლი.	1 სთ
2	კუნთის შეკუმშვის მეტაბოლიზმი. ენერგიით უზრუნველყოფის აერობული და ანაერობული გზები. კუნთოვანი ბოჭკოების ტიპები. ვარჯიშის სახეები ენერგიის უზრუნველყოფის ტიპის მიხედვით.	1 სთ
3	გულ-სისხლძარღვთა სისტემის თავისებურებები სპორტსმენებსა და ფიზკულტურელებში.	1 სთ
4	სასუნთქი და ნერვული სისტემების თავისებურებები სპორტსმენებსა და ფიზკულტურელებში.	1 სთ
5	სპორტსმენის კვება. ბიოლოგიურად აქტიური დანამატები.	1 სთ
6	სპორტული პათოლოგია. უეცარი სიკვდილი სპორტში.	1 სთ -

დღე N	პრაქტიკული მეცადინეობების შინაარსი	საათების რაოდენობა
1	ფიზიკური ვარჯიშის და სპორტული წვრთნის გავლენა ადამიანის ორგანიზმზე. სპორტსმენთა რეგულარული სკრინინგი. სპორტული ანამნეზის თავისებურებანი. სომატოსკოპია და ანტროპომეტრია (წონა, სიმაღლე, სხეულის მასის ინდექსი და ცხიმის პროცენტული შემცველობა, გულმკერდის გარშემოწერილობა).	3 სთ
2	სპორტის სწრაფ-ძალოვანი სახეობები. ვარჯიში მოქნილობაზე (ROM). ვარჯიში ძალაზე (იზოტონური და იზომეტრული). სახსარში მოძრაობის დიაპაზონის შეფასება - გონიომეტრია. კუნთოვანი აპარატის გამოკვლევა - დინამომეტრია.	3 სთ

3	სპორტის აერობული სახეობები. ვარჯიში გამძლეობაზე. აერობული ფუნქცია და ჟანგბადის მაქსიმალური მოხმარება (VO2max). ფიზიკური დატვირთვის თანმხლები ჰემოდინამიკური ცვლილებები. სპორტული გული.	3 სთ
4	სპორტსმენთა გულ-სისხლძარღვთა სისტემის ხარისხობრივ ანალიზზე დამყარებული ფუნქციური სინჯები: მარტინე-კუმელევსკის, ლეტუნოვისა და სვანიშვილის. რეაქციის ტიპები და მათი შეფასება. სპორტსმენთა ფიზიკური მუშაობის უნარის განსაზღვრა. რაოდენობრივი სინჯი - PWC170.	3 სთ
5	სასუნთქი სისტემის ფუნქციური გამოკვლევა სპორტსმენებში. ფილტვების სასიცოცხლო ტევადობა (სპირომეტრია) და სუნთქვის შეკავების ხანგრძლივობა (შტანგეს და გენჩეს სინჯები). სუნთქვის მაჩვენებლების შესწავლა დოზირებული ფიზიკური დატვირთვის დროს (ერგოსპირომეტრია). ცენტრალური ნერვული სისტემის გამოკვლევა: ბირიუკოვის და ნეკრასოვის ფუნქციური სინჯები. ვეგეტატიური ნერვული სისტემის გამოკვლევა: თვალ-გულის (დანინ-აშნერის) სინჯი, ორთო-კლინოსტატიური სინჯი, კანის დერმოგრაფიზმი.	3 სთ
6	ვეგეტატიური ნერვული სისტემის გამოკვლევა: თვალ-გულის (დანინ-აშნერის) სინჯი, ორთო-კლინოსტატიური სინჯი, კანის დერმოგრაფიზმი. ჩათვლა/კოლოკვიუმი ზეპირი გამოკითხვით.	1 სთ 2 სთ
7	სპორტული ტრავმატიზმი. სპორტის სხვადასხვა სახეობებისთვის დამახასიათებელი ტრავმული დაზიანებები. საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის გადაძაბვით გამოწვეული დაზიანება.	3 სთ
8	სპორტსმენის გადაწვრთნა და მისი თავიდან აცილება. ჰიპერტროფიული კარდიომიოპათია, როგორც უეცარი სიკვდილის წამყვანი მიზეზი სპორტსმენებში. ფიზიკური ვარჯიში და ქალის ორგანიზმი. სპორტსმენ ქალთა ტრიადა.	3 სთ
9	დოპინგი სპორტში. აკრძალული სია. დოპინგ-ტესტირება. თერაპიული გამოყენების გამონაკლისის (TUE) დაშვების პროცედურა. საკვები დანამატები და მათთან დაკავშირებული რისკები.	3 სთ
10	ჩათვლა/კოლოკვიუმი ზეპირი მოხსენებით	3 სთ
	გამოცდა	2 სთ